აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საელჩო თბილისში მეშვეობით, პროექტის „დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა პროფესიული განათლების სტუდენტებში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვით აჭარის რეგიონში. სახელმძღვანელოს შინაარსი არ ასახავს აშშ-ის საელჩოს თბილისში ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს. სახელმძღვანელო შემუშავებულია საორსას ადმასრულებელი დირექტორის, ***ლია ფუტკარაძის*** *მიერ.*

ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის, შორენა უზუნაძის მისალმება

ძვირფასო სტუდენტებო,

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბათუმის სამედიცინო აკადემიაში. ბათუმის სამედიცინო აკადემია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს გთავაზობთ პროფესიული კონსულტირების და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

ყოველ სასწავლო წელს მოაქვს ახალი დასაწყისი. განიხილავთ უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებელს, ეძებთ სტაჟირებას გამოცდილების მისაღებად ან სასურველ დასაქმებას აკადემიის დამთავრების შემდეგ, თქვენი პროფესიული წარმატება და კარიერული კმაყოფილება ჩვენი მთავარი მიზნებია.

ჩვენი კარიერის დაგეგმვისა და კარიერული განვითარების გუნდი დაგეხმარებათ შესაძლებლობების აღმოჩენაში, გამოცდილება მიიღოთ სტაჟირებისა და კვლევის მეშვეობით; განსაზღვროთ თქვენი ძლიერი მხარეები და ინტერესები მნიშვნელოვანი კარიერის გზაზე.

ეს კარიერის გზამკვლევი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენ შევქმენით თქვენთვის. კარიერის ძიების და მომზადების პროცესთან ერთად. შემდეგში გვერდებზე,

თქვენ ნახავთ შესაბამის და ღირებულ ინფორმაციას და სავარჯიშოებს რომელიც ეხება თვითშემეცნებას, სტაჟირებისა და სამუშაოს ძიების პროცესის ყველა ასპექტს მათ შორის, როგორ წარმოადგინოთ თქვენი ძლიერი მხარეები და გამოცდილება თავდაჯერებულად

ყოველთვის მზად გქონდეთ თქვენი რეზიუმე, განსაზღვრეთ სამოტივაციო წერილი თქვენი კარიერული მიზნების შესაბამისად, რომელიც გამოირჩევა დანარჩენისგან და გააძლიერეთ საკუთარი თავი გასაუბრების უნარებში, პირადად თუ დისტანციურად. დამატებით, თუ თქვენ იკვლევთ სპეციალობას, თქვენ იპოვით ინფორმაციას პროფესიის შესახებ, გაეცნობით შეფასებებს, კარიერულ წინსვლის შესაძლებლობებს და დასაქმების სივრცეებს.

ჩვენი პარტნიორი კომპანიების მხარდაჭერით თქვენ მიიღებთ პერსონალურ სამუშაოს რეკომენდაციებს, დაამყარებთ კავშირებს პროფესიონალებთან, მონაწილეობას მიიღებთ დასაქმების ფორუმებში და საგანმანათლებლო აქტივობებში. რაც მთავარია, ისარგებლებთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსით და კავშირებით ჩვენთან, როდესაც თქვენ დგამთ ნაბიჯებს თქვენი კარიერული მიზნების განხორციელებაში.

ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენს ღირებულებებსა და კარიერულ ოცნებებზე ფიქრი. როგორი გზაც არ უნდა აირჩიოთ, ჩვენი გუნდი მზად არის დაგეხმაროთ ამ პროცესში. საუკეთესო სურვილები თქვენს კარიერულ გზაზე. ჩვენ მოუთმენლად ველით მუშაობას თქვენთან ერთად.

მადლიერების წერილი

„არ არსებობს სამყაროში იმაზე დიდი ძალა, როგორიც არის განათლება. განათლება კი არის ცოდნა, დამოკიდებულება, შემეცნება, უფლება და შესაძლებლობა. არ არსებობს სამყაროში იმაზე დიდი ღირებულება, როგორიც არის სიყვარული. სიყვარული არის ემოცია, გრძნობა, რომელიც გვჭირდება, აუცილებელია, გარდაუვალია ბედნიერებისთვის. არ არსებობს სამყაროში იმაზე დიდი ენერგია, როგორიც არის ზრუნვა და კეთილგანწყობა. ზრუნვა და კეთილგანწყობა სინონიმია, რომელიც ჩემი ყოველდღიური საქმიანობთ ვცდილობთ მივაწოდოთ ადამიანებს განათლებითა და სიყვარულით. სიტყვას აქვს ძალა, ენერგია, ღირებულება. მადლიერი ვარ ბათუმის სამედიცინო აკადემიის, რადგან დღეს თქვენ, სტუდენტებო გაქვთ უნიკალური შესაძლებლობა გაბედოთ საკუთარ კარიერაზე ზრუნვა და მიაღწიოთ ბუმბერაზ კარიერულ მიზნებს.“

ლია ფუტკარაძე, კარიერული თერაპევტი, ახალგაზრდული მუშაკი, ა(ა)იპ „საორსა“ დაფუძნებელი, აღმასრულებელი დირეტქტორი

ბათუმის სამედიცინო აკადემიის საქმიანობა

აკადემია ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა მიზანია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება:

1. საექთნო განათლება

2. ფარმაცია (სააფთიაქო)

3. კბილის სატექნიკო საქმე

ამჟამად აკადემიაში სწავლობს 194 სტუდენტი. სასწავლო პროცესში ჩართულია 130 კვალიფიციური პროფესიულიგანათლების მასწავლებელი. აკადემიაში დასაქმებულია 24 თანამშრომელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების, ადმინისტრირების, სტუდენტური სერვისების და სხვა მხარდაჭერას.

ბათუმის სამედიცინო აკადემია წარმოადგენს პროფესიული განათლების ერთ-ერთ წამყვან სასწავლებელს რეგიონში, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლას. ჩვენი მიზანია მზადყოფნაში მყოფი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ეფექტურად ჩაერთვებიან ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში.

მ ი ს ი ა

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას.

ხ ე დ ვ ა

ბათუმის სამედიცინო აკადემია რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას. აკადემია ამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული პასუხისმგებლობით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და ხარისხზე ორიენტირებული მიდგომით. 2031 წლისთვის, ჩვენ ვამზადებთ მომავალი თაობის ჯანდაცვის ლიდერებს, რომლებიც ცოდნის, ინოვაციების და ჰუმანიზმის მეშვეობით გაუმჯობესებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ღ ი ი ბ ე ბ ი ს ე ბ ა

- პროფესიონალიზმი-მაღალი პროფესიული და აკადემიური სტანდარტები დაცვა. ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და პროგრამული შესაძლებლობების განვითარება.

- ინოვაცია – ახალი მეთოდებისა და იდეების დანერგვა.

- ეთიკა–დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და სამართლიანი გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა.

- გუნდურობა – ერთიანი ძალისხმევა მდგრადი განვითარებისთვის.

- პასუხისმგებლობა – თანამშრომლების, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვა.

ბათუმის სამედიცინო აკადემიის შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის ზრდას თავისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპსა და ნებისმიერ ასაკში. შესაბამისად, ჩვენი გზამკლევი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენთვის სასურველ და საჭირო დროს. სწრაფად ცვალებად დროში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცოდნასთან ერთად ისეთი უნარების და თვისებების შეძენა, როგორიცაა მოქნილობა, კრეატიულობა, თვით-სწავლა და მიზანსწრაფვა მუდმივი განვითარებისთვის. გზამკლევი შემოგთავაზებთ დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და ამავდროულად, იმ უნარების ნუსხას, რომელიც ყველა დროში არის ყველაზე მოთხოვნადი შრომის ბაზარზე, რათა შეძლოთ თვითდამკვიდრება და კარიერული წინსვლა.

მაშ, დავიწყოთ.

პირველი კითხვა, რომელსაც ხშირად გვეკითხებიან არის, რა კარიერული სერვისები არის ხელმისაწვდომი ჩვენს აკადემიაში?

გთხოვთ, გაეცნოთ ყველა კარიერულ სერვის და ერთად დავგეგმოთ თქვენი წარმატებული კარიერა.

პროფორიენტაციის კვირეული.

თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ პროფესიათა შესახებ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და აკადემიის კარიერულ კონსულტანტთან. ბათუმის სამედიცინო აკადემია შესაძლებლობას გაძლევთ ჩაერთოთ კარიერული ინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირეულში, რომელიც ყოველწლიურად გაზაფხულზე იმართება სასწავლო-პროცესების მართვის სამსახურის ეგიდით აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროფ-ორიენტაციის კვირეულის ორგანიზება და გაძღოლა შეუძლია სტუდენტებს, რომლებმაც დაასრულეთ პირველი სასწავლო წელი და გსურთ დაეხმაროთ სკოლის მოსწავლეებს პროფ-ორიენტაციაში.

კარიერული განათლება.

კარიერული განათლება თვითშემეცნების საუკეთესო შესაძლებლობა გახლავთ. კარიერული განათლება გეხმარებათ აღმოაჩინოთ საკუთარი ღირებულებები, პიროვნების ფსიქოტიპი, ინტერესები, უნარები, ნიჭი, მიდრეკილებები; განსაზღვროთ თქვენი გენდერული და სოციალური იდენტობა; შეისწავლოთ შრომის ბაზარი და შეუსაბამოთ თქვენი პროფესიული არჩევანი, კარიერული მიზნები შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კარიერული განათლება მოიცავს 32 საათიან სასწავლო პროგრამას, კარიერულ დიაგნოსტიკურ ტესტებს, სავარჯიშოებს, რომელიც ხელმისაწვდომია აკადემიაში. სწავლის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ აქ, **ონლაინ.**

კარიერული ტესტები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია აღნიშნულ ვებგვერდზე **http://myprofession.gov.ge/**

კარიერული ტესტები კარიერის დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მხარდამჭერი ინსტრუმენტი გახლავთ,

როდესაც თქვენ ეცნობით პროფესიული არჩევანს, პიროვნების ფსიქოტიპს; განსაზღვრავთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, აფასებთ რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენს კარიერულ არჩევანში და როგორ შეესაბამება თქვენი პროფესია თქვენს პიროვნულ მახასიათებლებს. გახსოვდეთ, ადამიანების ინტერესები ცვალებადია, შესაბამისად თქვენ გჭირდებათ კარიერის მართვის კომპეტენციები, რათა შეძლოთ იყოთ მოქნილები, დინამიურები და დამოუკიდებლები კარიერულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. კარიერული გადაწყვეტილებების მიღებას თავის მხრივ სჭირდება ხარისხიანი განათლება, თვითშემეცნება 9საკუთარი თავის კარგად ცნობა0, გამბედაობა, თავდაჯერებულობა და კარიერული მედეგობა. ჩვენი გზამკლევი დაგეხმარებათ გაიუმჯობესოთ კარიერის მართვის კომპეტენციები.

ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია

კონსულტაციები იწარმოება კვირაში ორი დღე სამშაბათი და ხუთშაბათი. იმისათვის, რომ შეძლოთ კარიერული კონსულტაციის მიღება საჭიროა გაიაროთ **ონლაინ რეგისტრაცია** ბათუმის სამედიცინო აკადემიის **ვებგვერდზე.**

ჩვენი კარიერული კონსულტანტი დაგიკავშირდებათ დროის შეთანხმების მიზნით. სასურველია კარიერული კონსულტაციისთვის მომზადება. მომზადებისთვის საჭიროა განსაზღვროთ კონსულტაციის მიზნობრიობა, რას მოელით კარიერული კონსულტაციისგან, რა სურვილები და/ან გამოწვევები გაქვთ, რომლის მიღწევა/მოგვარება გსურთ; დასაქმებისთვის ემზადები? გასაუბრების უნარებზე მუშაობა გსურს ან ფიქრობ როგორ დაწერო სამოტივაციო წერილი?

როდესაც მომავალზე ფიქრობთ, პირველი რა ემოცია გეუფლებათ? როგორი მომავალი გსურთ? როგორ წარმოგიდგენიათ პირველი სამსახური და პირველი დღე ამ სამსახურში? მაშინაც კი თუ თქვენ მუშაობთ და გსურთ სამსახურეობრივი ან კარიერის ცვლილება, ამ კითხვაზე წერილობით პასუხის გაცემა დაგეხმარებათ იდეალური მომავლის ფორმირებისთვის აუცილებელი პატერნები გამოკვეთოთ.

კარიერული კონსულტაციის დროს ხშირად გვეკითხებიან გაცვლით პროგრამების შესახებ. გაგიზიაროთ განათლების ცენტრის შესახებ ინფორმაცია **https://leaf.ge/**. აღნიშნული განათლების ცენტრი დაგეხმარებათ უცხოეთში სწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს. ამერიკაში სწავლისათვის გამოიყენეთ შემდეგი პლატფორმა **https://www.collegeboard.org/**.

დაიწყეთ ენობრივ კომპეტენციებზე მუშაობა. თქვენ რომელ ენას ფლობთ? რომელი ენის სწავლა გჭირდებათ სასურველი დასაქმებისთვის.

ჩვენი კარიერული კონსულტანტი დაგეხმარებათ სწორად განსაზღვროთ თქვენი პროფესიული მიზნები და შეიმუშავოთ კარიერის სამოქმედო გეგმა (ბმულს იპოვით კარიერის აღმოჩენის ნაწილში).

ინდივიდუალური კარიერული თერაპია

კარიერული თერაპია დაგეხმარებათ სტრესისგან, კომპლექსებისგან, შიშებისგან, ტრავმებისგან გათავისუფლებაში. თქვენ ისწავლით რთულ სიტუაციებთან გამკვლავებას, კონფლიქტების მართვას შრომის სამყაროში, შრომით

ურთიერთობებს და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. კარიერული თერაპია უნიკალური შესაძლებლობა მცირე დროში შევძლოთ სასურველი მიზნების მიღწევაზე ზრუნვა, კარიერის მართვის კომპეტენციის შეძენა, ბედნიერი და დამოუკიდებელი ცხოვრების შექმნა. კარიერული თერაპიის მისაღებად მნიშვნელოვანია მოემზადოთ და აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციის ვებგვერდზე დარეგისტრირდეთ https://saorsaglobal.com/services/ ან დაუკავშირდეთ პირდაპირ ელ.ფოსტის info@saorsaglobal.com და მობილური ტელეფონის მეშვეობით +995 593712727.

დასაქმების ფორუმი და სპეციალიზირებული დასაქმების ფორუმი

აკადემიის დახურულ ჯგუფში თუ არ ხართ გაწევრიანებული, არ დააყოვნოთ დრო და მოემზადე აქტიური ინტერაქციისთვის. **გაწევრიანდი აქ** ჩვენს ჯგუფში შეძლებთ მიიღოთ დასაქმების ფორუმთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია. თქვენ უკვე გაგიმართლათ, რომ ბათუმის სამედიცინო აკადემია გამორჩეულად ახერხებს ჩვენი სტუდენტების წარმომადგენლობას დასაქმების ფორუმებსა და საგანმანათლებლო/სოციალურ ღონისძიებებში. დასაქმების ფორუმი ტარდება წელიწადში ერთხელ გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თქვენს სასწავლო კალენდარი შეადგინოთ და მონიშნოთ დასაქმების ფორუმი. იმისათვის, რომ დასაქმების ფორუმი იყოს შედეგიანი ჩვენი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის, თქვენ შეგიძლიათ სასწავლო-პროცესების მართვის სამსახურს მიმართოთ

და დააზუსტოთ კონკრეტული დამსაქმებელების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ფორუმში, რათა მოემზადოთ ადგილზე გასაუბრებისთვის. დაფიქრდით, დასაქმების რა უნარებს ფლობთ ან რომელი უნარების გაუმჯობესება გჭირდებათ? ჩვენ ცხადია, გაგიზიარებთ გზამკვლევში საჭირო რეკომენდაციებს და უნარების შეფასებისთვის შესაბამის კითხვარს. თუმცაღა, ზუსტად შესაბამისი დროა დარეგისტრირდეთ დასაქმების უნარების პროგრამაზე. დასაქმების უნარების პროგრამა იწარმოება წელიწადში ორჯერ გაზაფხულის და შემოდგომის პერიოდში. დასაქმების პროგრამაში მონაწილეობისთვის დაუკავშირდით პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების **სპეციალისტს**.

იცოდით, რომ აჭარის რეგიონში დასაქმების ფორუმს ასევე სხვადასხვა უმაღლესი უნივერსიტეტები, დასაქმებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოები ყოველწლიურად მართავენ. აუცილებლად, გაეცანით მათ ღონისძიებათა კალენდარს ვებგვერდების მეშვეობით.

https://jobs.hrajara.gov.ge/
https://ssa.moh.gov.ge/

თუმცაღა, გაითვალისწინეთ, რომ აკადემიაში გვაქვს სპეციალიზირებული დასაქმების ფორუმი, რომელიც უშუალოდ გაძლევთ შესაძლებლობას თქვენი არჩეული პროფესიის მიმართულებით მიიღოთ კარიერული მენტორინგი და ანაზღაურებადი სტაჟირება ჩვენს პარტნიორ დამსაქმებლებთან.

ვაკანსიათა ჩამონათვალი

კურსდამთავრებულთა დახურული **ჯგუფში გაწევრიანებისთანავე** თქვენ იღებთ ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების შესახებ, სადაც შეგეძლებათ განაცხადის გაკეთება. აღნიშნულ ჯგუფში გაქვთ უფლება გააზიაროთ ინფორმაცია თემში არსებული შესაძლებლობების შესახებ, გააზიაროთ გამოცდილებები თანატოლებთან და დასვათ ნებისმიერი კითხვა თქვენს დასაქმებას, სწავლასთან, გადამზადებასთან და კარიერასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, ჩვენი გზამკლევი გთავაზობთ სამუშაოს ძიების სტრატეგიებს თავისი განმარტებით, რომლის გამოყენება ინდივიდუალურად შეგიძლიათ.

მოხალისეობა - უანგარო ზრუნვა, შრომა: მოითხოვს კონკრეტული დავალებების, ამოცანების შესრულებას. გარდა კეთილი საქმისა, სოციალური უნარების შეძენისა და გაუმჯობესებას მოხალისეობით ვახერხებთ. ბათუმის სამედიცინო აკადემია ხელს უწყობს მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ წითელი ჯვარის წარმომადგენლობას ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელების პროცესებში ჩართულობისთვის. სათნოების სახლებში კი, შეგიძლიათ საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში ჩაერთოთ.

კავშირების დამყარება (networking) - მნიშვნელოვანია მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, ვიყოთ ღია ახალი გამოცდილებების მიღების მიმართ, ახალი ადამიანების გაცნობა და დამეგობრება შევძლოთ. გახსოვდეთ, რომ დასაქმების უნარების ერთ-ერთი ნაწილი ზუსტად მოიცავს კავშირების დამყარებას, რაც მოითხოვს თქვენგან აქტიურ სოციალურ და საზოგადოებრივ ჩართულობას.

დაიწყეთ კონტაქტების სიის შედგენა და სიაში მყოფი ადამიანების დაკავშირებულების ძიება თქვენთვის სასურველ პოზიციასთან. ბათუმის სამედიცინო აკადემია ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებით ტურებს. აკადემიაში კურსდამთავრებულთა ასოციაციის მხარდაჭერით შევქმენით ეკო კლუბი, ხელოვანთა კლუბი, კინომოყვარულთა კლუბი. თქვენ შეგიძლიათ გაწევრიანდეთ აღნიშნულ კლუბებში და ჩაერთოთ საზოგადოებრივი ზრუნვის საქმიანობაში.

სამუშაო განაცხადებების დაფები - ვაკანსიების შესახებ არსებული პლატფორმები. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ უკვე დაიწყოთ მუშაობა რეზიუმეს შექმნაზე. ქვემოთ მოცემული შერჩეული პლატფორმები გამოგადგებათ ვაკანსიების შესახებ მიიღოთ განახლებული ინფორმაცია და აგრეთვე, დარეგისტრირდეთ და დააგენერიროთ რეზიუმეები (შეგიძლიათ ქართულ და ინგლისურ ენაზე ამის შექმნა). გახსოვდეთ, რეზიუმე არის თქვენი შესაძლებლობა დაინტერესოთ მომავალი დამსაქმებელი.

https://worknet.moh.gov.ge/
https://www.rework.ge/ka/user/overview
https://awork.ge/user/home
https://hr.gov.ge/
https://jobs.ge/
https://www.hr.ge/
https://europa.eu/europass/eportfolio/screen/cv-editor...
https://www.linkedin.com/
https://www.usajobs.gov/
https://ss.ge/ka/jobs
https://www.canva.com/create/resumes/

დამატებითი კონსულტაციისთვის მიმართეთ კარიერულ კონსულტანტს - სოფო ჯინჭარაძეს.

რეკრუტერები - ადამიანები, კომპანიები, რომლების არიან შუამავლები დამსაქმებლებსა და თქვენს შორის. იმეგობრეთ რეკრუტერებთან, რომლებსაც აქვთ წვდომა იმ დამსაქმებლებთან სადაც საკუთარ კარიერულ განვითარებას ხედავთ.

დასაქმების ფორუმები - მოემზადეთ გასაუბრებისთვის და საკუთარი თავის წარდგენისთვის. შეგიძლიათ დასაქმების ფორუმზე წაიღოთ დაბეჭდილი რეზიუმე.

კომპანიის/კლინიკების / საავადმყოფოების ვებგვერდებიცით, კომპანიები, სადაც მუშაობა გსურთ ნახეთ მათი ვებგვერდი და გაეცანით მათ ვაკანსიებს. სხვათაშორის სოციალური ქსელები Facebook და პროფესიული გვერდი **LinkedIn**-ზე აქვთ ხოლმე დამსაქმებლებს და აქტიურად იყენებენ სამუშაო განცხადების განთავსებისთვის. სასურველია დარეგისტრირდეთ აქ **https://www.linkedin.com/**

სამუშაო ადგილზე ვიზიტი (ან პირდაპირ ონლაინ კომუნიკაცია) - მივდივართ და იქვე ვტოვებთ რეზიუმეს, შეიძლება არ ჰქონდეთ ვაკანსია აქტიური, მაგრამ დაინტერესდნენ ჩვენით (ეს ტრადიციული მეთოდი იყო და რჩება სტრატეგიებში). შეგვიძლიათ დროის და მატერიალური რესურსის დაზოგვა და გაგვზავნოთ ოფიციალური წერილი (აუცილებელია, პროფესიული კომუნიკაციები, სათაურის ველში მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი და რა ვაკანსია გაინტერესებთ ან თუ გვაქვს კონკრეტული კვალიფიციაცია ვუთითებთ) შეთავაზებას აკეთებთ ფაქტობრივად. აქ გამოგადგებათ ინდივიდუალური ბრენდიგის სავარჯიშო და

გავივლით ამ საკითხს.

სტაჟირება - შეიძლება იყოს ანაზღაურებადი ან არა ანაზღაურებადი. სწავლა-სწავლებას გულისხმობს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული სტაჟირებებით დაკავდეთ.

„გასეირნება“ - რამდენად ხშირად სტუმრობთ ისეთ საზოგადოებრივ სივრცეებს, რომელიც ასევე არის მომსახურების სივრცეები: აეროპორტები, მაღაზიები, რესტორნები, სასტუმროები, აფთიაქები და მისთ. თქვენ შეგიძლიათ აღნიშნულ სივრცეებში შემთხვევით ან გეგმიურად ყოფნის შემთხვევაშიც გაესაუბროთ იქ დასაქმებულ ადამიანებს და გაიგონ ინფორმაცია დასაქმების შესახებ ან/და შესაძლოა თავად შეხვიდეთ აქტიურ კონტაქტში და გააზიაროთ თქვენი დასაქმების სურ-ვილები.

სოციალური ქსელები - აქაც ნებისმიერი სოციალური ქსელი, სადაც დღეს უკვე არაერთ ჯგუფსა და კომპანიების გვერდზე ზიარდება ვაკანსიები. მოვაწესრიგოთ ჩვენი ფეისბუქ გვერდი, ხო მართლა **LinkedIn**, **Worknet.gov.ge** და **HR.gov.ge** დარეგისტრირდით? არ დააყოვნო დარეგისტრირება.

კონტაქტების სია - აქ ცხადია, კონტაქტები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულები იმ სამუშაოსთან, დასაქმებასთან, რომელიც გსურთ. ჯერ კიდევ მინდა გავიგო, რამდენად ახლოს ხართ კონტაქტებთან? რამდენად მეგობრობთ და საუბრობთ თქვენს კონტაქტებთან?

რეკომენდატორები - აქაც, ისინი ვისაც შეუძლიათ თქვენი დახასიათება იმ ვაკანსიასთან, სამუშაო პოზიციასთან მიმართებაში, სადაც აგზავნით რეზიუმეს. სტრატეგიულად, მიზნობრივად შეარჩიეთ რეკომენდატორები. ჩვენს აკადე-

მიაშიც შეძლებთ რეკომენდაციის მიღებას. საამისოდ გჭირდებათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელებს ან/და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს.

ანაზღაურებადი სტაჟირება

მზად ხარ სტაჟირებისთვის. სტაჟირება შრომითი ურთიერთობების, დასაქმების ნაწილია, შესაბამისად სტაჟირებაზე ერთი და იმავე კომპანია/ორგანიზაციაში მხოლოდ მაქსიმუმ 6 თვის ვადით არის შესაძლებელი. სტაჟირება გულისხმობს სწავლა-სწავლებას და პროფე-სიული უნარების გამომუშავებას/გაუმჯობესებას. აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღებით და ძალისხმევით ვახორციელებთ სტაჟირების პროგრამებს. მეორე სასწავლო კურსიდან უკვე შეგიძლიათ განაცხადი წარმოადგინოთ სტაჟირებასთან დაკავშირებით სამივე პროფესიის სტუდენტებს კბილის ტექნიკოსი, ფარმაცია, საექთნო საქმე. ბათუმის სამედიცნო აკადემიის პარტნიორი სამედიცინო ჰოლდინგი მედცენტრი უზრუნველყოფს აკადემიის სტუდენტების მობილურ დასაქმებას.

არაფორმალური განათლება

ბათუმის სამედიცინო აკადემია თანამშრომლობს სამოქალაქო - **საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან** და **პროფესიულ ასოციაციებთან** სტუდენტების და კურსდამთავრებულთა პიროვნული, პროფესიული, აკადემიური და კარიერული განვითარების შესაძლებლობის შექმნისთვის. აკადემია გთავაზობთ მრავალფეროვან არჩევანს ტრენინგებისა და

მასტერკლასების: შრომითი უფლებები, შრომითი უსაფრთხოება, ეფექტური მომსახურების და გაყიდვების უნარების, ლიდერობა და მოტივაცია, კარიერული მენტორინგი, ფინანსური წიგნიერება, კონფლიქტების მართვა სამსახურში, პროფესიული კომუნიკაციები, ემოციური ინტელექტი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესებში, სამეწარმეო უნარები. ტრენინგები ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიის სატრენინგო სივრცეში. სტუდენტებს შეგიძლიათ მიმართოთ კარიერულ კონსულტანტს და შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი თემა. აღნიშნული ტრენინგების განხო-რციელება უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო აკადემიის მიერ.

რევაზ უზუნაძის სახელობის სტიპენდია

ჩვენთვის ყველაზე ღირებულია განათლება, რომელიც გარდა დასაქმებისა ხდება შთაგონების წყარო. პირველად ბათუმის სამედიცინო აკადემიაში სტუდენტების შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აკადემიკოს რევაზ უზუნაძის სახელობის სასტიპენდიო კონკურსში. კონკურსი იმართება წელიწადში ერთხელ და სტუდენტები, რომლებიც გეგმავთ კონკურსში მონაწილეობას, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ კონკურსის კრიტერიუმები: აკადემიური შეფასება,

შედეგების დროული და წარმატებული ჩაბარება, ფორმიანობა და დისციპლინა, აკადემიის განვითარების პროცესებში აქტიური ჩართულობა. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭიროა რეგისტრაციის გავლა და სამოტივაციო წერილის წარმოდგენა. სტიპენდია შეადგენს 2,000 ლარს.

მშობელთა კონსულტაციები

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მენეჯმენტის გუნდი კვარტალში ერთხელ ხვდება მშობლებს, რომელთაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ. ჩვენი კურსდამთავრებულთათვის საინტერესო შესაძლებლობა გახდნენ აკადემიის ელჩები და ჩაატარონ საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან სასკოლო სივრცეებსა და აკადემიაში. მსურველ კურსდამთავრებულს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კარიერული **განვითარების სპეციალისტს.**

მზად ხართ უფრო მეტი გაიგოთ საკუთარი კარიერის შესახებ?

ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ პიროვნება არის ინდივიდუალურ თვისებათა უნიკალური ორგანიზაცია. ჩვენ უდაოდ ვართ უნიკალურები, მაგრამ მსგავსებაც ბევრი გვაქვს. ეს მსგავსება შეიძლება დაკავშირებულობითაც კი ავხსნათ თვისებათა, ქცევათა და დამოკიდებულებათა; განსხვავებით უნართან. თუმცაღა, როცა დასაქმებაზე ვსაუბრობთ, აქვე ვსაუბრობთ **პიროვნულ მახასიათებლებზე** (თვისებათა ერთობლიობაზე), რომელიც ყველა დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია. აკადემიისთვის მნიშვნელოვანია ამ მახასიათებლებს ჩვენი სტუდენტები იცნობდეთ ისე, რომ გაითვალისწინოთ შრომის

სამყაროში.

- *ლოიალობა;*
- *პასუხისმგებლობა; თავდადება;*
- *პატიოსნება და გულმოდგინება;*
- *ენთუზიაზმი;*
- *საიმედოობა და სანდოობა;*
- *თვითგამოხატვა;*
- *საღი აზრი;*
- *პოზიტიური თვითშეფასება;*
- *იუმორის გრძნობა;*
- *დაბალანსებული დამოკიდებულება სამუშაოსა და პირადი ცხოვრების მიმართ;*
- *დატვირთულ შრომასთან გამკლავება;*
- *მოტივაცია;*
- *ადაპტირება და მოქნილობა.*

აქვე გიზიარებთ ექსპერტების მოსაზრებას და შეთანხმება, რომ არსებობს უნარები, რომლებსაც დრო ვერაფერს აკლებს ანუ ყოველთვის არის მნიშვნელოვანი, როცა ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და წარმატებული კარიერის შექმნაზე:

1. *დროის მენეჯმენტი*
2. *ორგანიზაციული უნარები*
3. *ინტერპერსონალური უნარები*
4. *ფინანსური წიგნიერება*
5. *ემოციური ინტელექტი*
6. *ეფექტური კომუნიკაცია*

7. კრიტიკული აზროვნება და პრობლემების მოგვარების უნარი

8. კრეატიულობა და ინოვაცია

9. ადაპტირება და შეუპოვრობა (მედეგობა)

გახსოვდეთ, რომ პროფესიული უნარების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, საწყისისთვის საკმარისია თქვენ გონივრულად შეაფასოთ საკუთარი დასაქმების უნარები სასურველ დასაქმებასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, შეისწავლოთ თქვენი პროფესიის სასწავლო-გეგმა, სადაც თქვენს პროფესიულ მასწავლებლებთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად იმუშავებთ რელევანტურ პროფესიულ უნარების შესახებ, რადგან ამ უნარების გამომუშავებას სწორედ საქმის კეთებით და წვრთნით შეძლებთ. ამიტომ, აუცილებლად დაიწყეთ აქტიურად სტაჟირების პროგრამებში ჩართულობა.

როგორ მივაღწიოთ საოცნებო სამსახურს? სად ვარ ახლა და სად მინდა ვიყო?

ვინ ვარ მე? უნარები, ინტერესები, ღირებულებები და მუშაობის სტილი.

საკუთარი კარიერის აღმოჩენა

კეთილი იყოს შენი მობრძანება საკუთარი კარიერის აღმოჩენებში.

გილოცავთ, კარიერული პიროვნების ტესტის[1] (მაიერს ბრიგსის პიროვნების საკვლევი ტესტი, ქართულენოვანი ტესტი) ჩაბარებით, თქვენ გადადგით პირველი ნაბიჯი სამუშაოსა და კარიერის საპოვნელად, რომელიც ყოველთვის გინდოდათ. თქვენი ინტერესები, ღირებულებები, სოციალური უნარები და მიდრეკილებები, თქვენი პიროვნების ტიპთან ერთად, ზოგიერთ კარიერას თქვენთვის და სხვებისთვის სრულიად შესაბამის ან შეუსაბამოს ხდის.

ახლა დროა განსაზღვროთ კარიერული მიზნები და აირჩიოთ თქვენთვის შესაფერისი გზა.

არა აქვს მნიშვნელობა, პირველად იწყებთ სამსახურს თუ წინაურდებით, ან კარიერას იცვლით, სამუშაოს ძიებისას ჩვენ ყველა გავდივართ მსგავს პროცესს . ეს სამუშაო წიგნი დაგეხმარებათ ამ პროცესის მსველობისას და მოგცემთ მკაფიო სამოქმედო ნაბიჯებს, რათა შეძლოდ დაგეგმოთ და შექმნათ კარიერა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს ღირებულებებს, ინტერესებს, უნარებსა და ნიჭს. ჩვენ გთავაზობთ კარიერის აღმოჩენის სამ ძირითად კითხვას: აღმოაჩინო ვინ ვარ მე? აღმოაჩინო რა მინდა მე? და აღმოაჩინო როგორ აპირებ სურვილების მიღწევას?

1. კარიერის აღმოჩენის სამუშაო მასალა ადაპტირებულია Truity Psychometrics-ის სარჩევის მიხედვით.

აღმოაჩინე ვინ ხარ შენ

კარიერის არჩევისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ თქვენი ინტერესები, უნარები და ღირებულებები. რითი ხართ გატაცებული? რაში გიყვართ დღის გატარება? "რა გააჩაღებს თქვენში ცეცხლს," რომელიც გიბიძგებთ ადგომას და ყოველ დღე წვლილის შეტანის სურვილს?

შემდეგი კითხვარი გიბიძგებთ, დაიწყოთ ფიქრი თქვენ რა მოგწონთ/არ მოგწონთ, მიზნებსა და შესაძლებლობებზე. თქვენი ხასიათის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის აღმოსაჩენად დროის დახარჯვა დაგეხმარებათ შექმნათ ხედვა და გეგმა კარიერის მისაღწევად, რომელიც თქვენთვის გონივრული იქნება.

გაიცანით საკუთარი თავი:

ჩემი ნიჭი და შესაძლებლობები

რაში ვარ მართლა კარგი? რას ვაკეთებ კარგად ბუნებრივად?

როგორც სტუდენტი, რომელ საგნები ვისწავლე/ ვსწავლობ კარგად? არც ისე კარგად?

ჩემი ახლანდელი სამუშაოს რა ასპექტებში ვარ გამორჩეული (თუ ამჟამად დასაქმებული ხართ)?

ჩამოთვალეთ სამი ძირითადი დავალება ან აქტივობა, რომლის შესრულებაც გსიამოვნებთ.

1.---
რატომ? ---

2.---
რატომ? ---

3.---
რატომ? ---

ჩემი უნარები

ეს ცხრილი გვიჩვენებს ზოგიერთ საერთო უნარს, რომელსაც ადამიანები გვთავაზობენ და დამსაქმებლებს სჭირდებათ. მონიშნეთ თითოეული უნარ-ჩვევა, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ სამუშაოზე.

	სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაცია		ორგანიზება, დაგეგმვა და პრიორიტეტები		ძლიერი შრომის ეთიკა/ კეთილსინდისიერება
	აქტიური მოსმენა		სტრატეგიის განსზაღვრის უნარი		გადაწყვეტილების მიღების უნარი
	რისკის აღება		ინიციატივა		კრეატიული აზროვნება
	მოლაპარაკეების წარმოება		ლიდერობა		მიზნის დასახვა
	კოლაბორაცია/ გუნდური მუშაობა		ხელმძღვანელობა/ ზედამხედველობა/მართვა		სწავლება, ინსტრუქციის გაცემა, მენტორინგი
	ფინანსური ანალიზი/თემატიკა		ლოგიკური აზროვნება		პრობლემების მოგვარება
	გაყიდვის უნარები/ დარწმუნების უნარი		რესურსულობა/მარაგების ქონა/მრავალმხრივ საქმის კეთების უნარი		თავდაჯერებულობა
	ფიზიკური კოორდინაცია		ლითმოხერხებულობა/ ფიზიკური შრომის უნარიანობა		თვით-მართვა
	იუმორის გრძნობა		სწრაფად სწავლა/სისხარტე		მოქნილობა/ადაპტურობა
	კრიტიკული აზროვნება/ შესაძლებლობა ისწავლო კრიტიკული შეფასებიდან		სტრეს მედეგობა/ სტრესის მართვა		დროის მენეჯმენტი
	ემოციური ინტელექტი		ინოვაცია		რთულ სიტუაციასთან გამკლავება
	სანდოობა/დაყრდნობა		ცნობისმოყვარეობა		კავშირების დამყარება/ ურთიერთობების შექმნა

	ბჟილისტიკნიკოსის პროფესიული უნარები		საკუთრო		ფარმაცია (საფთიაქო)
	სიზუსტე		ეთიკის ნორმების დაცვა		ინფორმაციასთან მუშაობა
	განვითარებული ხელის მოტორიკა		უწყვეტი ვსანასთლება		საქმიანი მიმოწერის უნარები
	დეტალებზე კონცენტრირება		დროის მენეჯმენტი		დოკუმენტებთან მუშაობის უნარები
	ნებისყოფა		მოსმენის უნარი		დოკუმენტაციის მომზადების უნარები
	სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი		ემპათია		რეპორტის წერის უნარები
	დაკვირვების უნმარი		ეფექტური კომუბნიკაცია		
	ფიზიკური გამძლეობა		სტრესულ სიტუაციში მუშაობა		
			გადაწყვეტილების სწრაფი მიღების უნარი		

ჩემი ღირებულებები

1. რა არის ჩემი ჰობი და ინტერესები?

---

2. ფულის გამომუშავება რომ შემეძლოს იმით, რისი კეთებაც ყველაზე მეტად მიყვარს, რა იქნებოდა ეს?

---

3. რა იქნება ყველაზე მეტად მოტივაცია და შთაგონება, რომ კარგად გავაკეთო ჩემი საქმე?

სწორი პასუხი არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთი მაგალითი შეიძლება იყოს: სხვების დახმარება, საზოგადოების დახმარება, გრძნობა ძლიერად ან მნიშვნელოვანად, გქონდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, იყო დამოუკიდებელი. საქმის კეთება, რომელიც გთავაზობთ თავგადასავალს და აღფრთოვანებას, განსხვავებას ან კარგი ანაზღაურების მიღებას.

შესაძლოა ეს ჩამონათვალი დაგეხმაროთ ღირებულებების სახელდებასა და არჩევანის გაკეთებაში:

- *მიღწევა*
- *თავგადასავალი*
- *შვილებისთვის დროის დათმობის შესაძლებლებლობა*
- *მეუღლისთვის დროის დათმობის შესაძლებლობა*
- *საზოგადოებრივი კეთილდღეობაზე ზრუნვა*
- *განათლება*
- *ოჯახური ურთიერთობები*
- *გარემო*
- *ეთიკა*
- *თავისუფლება*
- *მეგობრობა*
- *გულუხვობა*
- *ჯანმრთელობა*
- *კეთილსინდისიერება*
- *თავისუფალი დრო*
- *პატრიოტიზმი*
- *მატერიალური კეთილდღეობა*
- *ფიზიკური გამძლეობა*
- *ძალაუფლება*
- *აღიარება*
- *უსაფრთხოება*
- *სულიერი განვითარება*
- *პატივისცემა*
- *საკუთარი თავისთვის დროის დათმობა*

თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ ღირებულებები. თუმცაღა მნიშვნელოვანიამ იცოდეთ, რატომ არის თქვენ მიერ არჩეული ღირებულება მნიშვნელოვანი და გამოკვეთოთ, ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ღირებულება, რომელიც კარიერული არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

გაითვალისწინეთ, რომ არსებობს შრომითი ღირებულებები. თქვენი შრომითი ღირებულებებით შეგიძლიათ განსაზღვროთ ის პროფესიები, რომელიც მოგცემთ შესაძლებლობას თვით-გამოხატვის და კარიერული წარმატების.

განსაზღვრეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი შრომითი ღირებულებები.

- საპასუხისმგებლო სამუშაო
- სამუშაო მდებარეობას (შენობის შიგნით თუ შენობის გარეთ)
- ხელფასი
- შეღავათები და სარგებელი (მაგ. ჯანმრთელობის დაზღვევა, საპენსიო ფონდი)
- სამუშაოს სტაბილურობა
- დაწინაურების შესაძლებლობა
- სამუშაოზე თქვენ მიერ შეტანილი წვლილის აღიარება
- ახალი უნარების განვითარების შესაძლებლობა
- სამუშაო მრავალფეროვნება
- მოგზაურობის შესაძლებლობა
- ხელსაწყობითა და მანქანა-დანადგარების მუშაობა
- სხვებისთვის რჩევის მიცემის შესაძლებლობა
- შემოქმედებითი სამუშაო
- დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა

- სხვების წახალისება და მოტივირება
- რისკიანი, თავგადასავლებით სავსე სამუშაო

თქვენ შეგიძლიათ დაფიქრდეთ შრომით ღირებულებებზე და განსაზღვროთ, ის სამი შრომითი ღირებულება, რომელსაც დააკავშირებთ თქვენს პროფესიულ არჩევანს (**აირჩიე პროფესია, 2013, PMC, World Vision**)

4. რა მჭირდება იმისთვის, რომ ცხოვრებაში თავი სრულ-ყოფილად ვიგრძნო?

ჩემი იდეალური დღე

1. როგორ გამოიყურება ახლა ჩემთვის ჩვეულებრივი დღე?

---

2. მეტი რისი გაკეთება მინდა?

იდეების მაგალითები შეიძლება მოიცავდეს: მქონდეს მეტი კონტაქტი ადამიანებთან, მქონდეს თავისუფლება, დავსახო ჩემი განრიგი, მქონდეს შესაძლებლობა ვიყო კრეატიული ან მქონდეს სწრაფი ტემპი.

რა არ მომწონს ჩემს ჩვეულებრივ დღეს? რას შევცვლიდი, რომ შემეძლოს?

სად რა ადგილას, მიყვარს დროის გატარება?

როგორი იქნებოდა ჩემი იდეალური მომავალი?

რისი მიღწევა მინდა კარიერის ბოლომდე?

რას გავაკეთებდი, რომ მცოდნოდა, ვერ დავმარცხდები?

სამუშაო ფურცლის დასრულების შემდეგ, თქვენ უნდა გქონდეთ გონივრულად მკაფიო სურათი იმის შესახებ, რაც გჭირდებათ კარიერისგან, რათა განიხილოთ სამუშაოს შესაძლებლობა ამ სფეროში.

შემდეგი განყოფილება დაგეხმარებათ შეაჯამოთ თქვენი მოთხოვნები, რათა დაიწყოთ მათი გამოყენება სამუშაო შესაძლებლობების შესაფასებლად.

ჩემი იდეალური დღე

1. როგორ გამოიყურება ახლა ჩემთვის ჩვეულებრივი დღე?

---

2. მეტი რისი გაკეთება მინდა?

იდეების მაგალითები შეიძლება მოიცავდეს: მქონდეს მეტი კონტაქტი ადამიანებთან, მქონდეს თავისუფლება, დავსახო ჩემი განრიგი, მქონდეს შესაძლებლობა ვიყო კრეატიული ან მქონდეს სწრაფი ტემპი.

რა არ მომწონს ჩემს ჩვეულებრივ დღეს? რას შევცვ-ლიდი, რომ შემეძლოს?

სად რა ადგილას, მიყვარს დროის გატარება?

როგორი იქნებოდა ჩემი იდეალური მომავალი?

რისი მიღწევა მინდა კარიერის ბოლომდე?

რას გავაკეთებდი, რომ მცოდნოდა, ვერ დავმარცხდები?

სამუშაო ფურცლის დასრულების შემდეგ, თქვენ უნდა გქონდეთ გონივრულად მკაფიო სურათი იმის შესახებ, რაც გჭირდებათ კარიერისგან, რათა განიხილოთ სამუშაოს შესაძლებლობა ამ სფეროში.

შემდეგი განყოფილება დაგეხმარებათ შეაჯამოთ თქვენი მოთხოვნები, რათა დაიწყოთ მათი გამოყენება სამუშაო შესაძლებლობების შესაფასებლად.

ჩემი კარიერული საჭიროებები და სურვილები ის, რაც მინდა მქონდეს სასურველი დასაქმების მისაღწევად (ვფიქრობ სამუშაო გარემოზე, სწავლის სტილი, ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაო საათები, დაწინაურებისა და განვითარების შესაძლებლობები, მართვა და შრომის კულტურა):

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

სამუშაოს მისაღებად მირჩევნია მქონდეს:

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ეს ის სარგებელია/ბენეფიტები/პირობები, რომლებზეც შეგიძლიათ კომპრომისზე წახვიდეთ, მაგრამ ასევე განას-ხვავებს ერთ სამუშაოს მეორისგან.

თვისებები, რომლებიც შემიძლია შევთავაზო დამსაქმებელს - "ჩემი გაყიდვების შეთავაზება:"

1.----------

2.----------

3.----------

---

4. ----------

---

5. ----------

---

6. ----------

---

7. ----------

აღმოაჩინე რა?

აღმოაჩინეთ რა არის იდეების გენერირების პროცესი, შემდეგ კი თქვენი ძიების ფოკუსი დააკავშირეთ თქვენს იდეალურ სამუშაოს.

ამ განყოფილების დასასრულს თქვენ გამოიძიებთ სხვადასხვა კარიერულ ვარიანტს, გაესაუბრებით მათ, ვინც ასრულებს იმ ტიპის სამუშაოს, რომელიც თქვენ გაინტერესებთ და განსაზღვრავთ თქვენს კარიერაში წინსვლის მკაფიო გზას.

ნაბიჯი # 1: შეადგინეთ პროფესიის ძირითადი სია, რომლითაც შეგიძლიათ შეისწავლოთ

ახლა, როდესაც თქვენ გააკეთეთ კარიერის შეფასება, გაქვთ კარიერის ვარიანტების გრძელი სია, რომელიც იცით, რომ კარგად შეესაბამება თქვენი ინტერესების და/ან პიროვნების ასპექტებს. ამ სიაში ზოგიერთი პროფესია მაშინვე გამოგადგებათ; სხვები არა.

დაფიქრდით თქვენს ბავშვობის ოცნებებზე, მიზანსწრაფვასა და უპასუხეთ კითხვას რა მინდა მე? რისკენ მივილტვი ამ სამყაროში? რატომ?

კარიერა,რომლის აღმოჩენა მსურს

ქვემოთ მოცემულ სივრცეში შეადგინეთ კარიერის ძირითადი სია, რომელთა შემდგომში გამოკვლევა გსურსთ

1.---------- 6. ----------
2.---------- 7. ----------
3.---------- 8. ----------
4. ---------- 9. ----------
5. ---------- 10. ----------

ნაბიჯი # 2: შეიტყვეთ მეტი თქვენს სიაში არსებული კარიერების შესახებ

ახლა, დროა გაიგოთ, თქვენს სამაგისტრო სიაში ჩამოთვლილი პროფესიების შესახებ . თქვენი მიზანია ჩაუღრმავდეთ კონკრეტული ტიპის ოკუპაციას. გარკვეული დრო დაუთმეთ იმის გარკვევას თუ როგორ ხვდებიან ადამიანები სამუშაოს ამ სფეროში, რა დამატებითი განათლება ან ტრენინგი შეიძლება დაგჭირდეთ და რას მოელიან თქვენგან სამუშაოს როლის, უნარებისა და გამოცდილების თვალსაზრისით.

აქ არის რამდენიმე სტრატეგია თქვენთვის საინტერესო კარიერის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად:

- მიიღეთ კარიერული კონსულტაცია
- კარიერული თერაპია იდეალურია ნებისმიერ შიშთან, სტრესთან და ტრავმასთან გამკლავებისთვის, რათა მივიღოთ სასურველი და სწორი გადაწყვეტილებები
- ინტერნეტ წყაროების გამოკვლევა
- მოძებნეთ საგანმანათლებლო, სასწავლო და სახელმწიფო ლიცენზირების/საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- ეწვიეთ საქართველოს სტატისტიკის ბიუროს, რათა მიიღოთ მონაცემები საშუალო ხელფასისა და სამუშაოს პერსპექტივის შესახებ. აგრეთვე, სამუშაო პოზიციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გამოიყენოთ (**https://www.onetonline.org/**)
- ისარგებლეთ **LinkedIn** ჯგუფებით, როგორიცაა ინდუსტრია ან კურსდამთავრებულთა ასოციაციები
- დაუკავშირდით ადამიანებს, რომლებიც ამ სამუშაოებს ასრულებენ **LinkedIn**-ის და სოციალური მედიის საშუალებით – დასვით კითხვები.
- გადახედეთ შესაბამის სამუშაო შესახებ რეკლამებს/

განაცხადებს და შეისწავლეთ ამ პოზიციასთან დაკავშირებული მოვალეობების, სამუშაო გარემოსა და ხელფასის გასარკვევად
- ეწვიეთ ადგილებს, სადაც ადამიანები ასრულებენ ამ სამუშაოებს და დააკვირდით, როგორ აკეთებენ მათ
- დაესწარით დასაქმების ფორუმებს, კარიერულ მასტერ-კლასებს და პროფესიულ ღონისძიებებს
- გაეცანით პროფესიული ასოციაციების, კვლევითი ორგანიზაციების, სავაჭრო ასოციაციების ვებსაიტებს ან ანგარიშებს და ციფრულ მედია სივრცეებში განთავსებულ სტატიებს თქვენი ინტერესის შესაბამისად.
- გამოიყენეთ ელექტრონულ ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, დასაქმების სააგენტოები - მათ აქვთ შესანიშნავი ადგილობრივი რესურსები

შენიშვნა: გთხოვთ, მიუბრუნდეთ დასაქმების ძიების სტრატეგიებს, რომელიც მოგეწოდათ საორსას საგანამანთლებლო პროგრამის "დასაქმებისა და კარიერულიბ განვითარება" ფარგლებში.

ნაბიჯი #3: შექმენით მოკლე სია

აქამდე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი სიის შემცირება. კიდევ ერთხელ გადახედეთ.

„აუცილებელ პროფესიებს“, რომლებიც შეაჯამეთ 1 ნაწილში და გამოიყენეთ ეს, როგორც საფუძველი იმ სამუშაოების აღმოსაფხვრელად, რომელთა შემდგომი გაგრძელება არ გსურთ. აქ მოცემულია რამდენიმე მიზეზი, რის გამოც პროფესიები ან სამუშაო პოზიციები თქვენი სიიდან ამოიღეთ:

- თქვენთვის მიუღებელია საათები, სამუშაო გარემო ან პროფესიული პირობები
- კარიერას აქვს სუსტი სამუშაო პერსპექტივა ან მცირე შესაძლებლობები ახალი აბიტურიენტებისთვის
- თქვენ ვერ ასრულებთ ტრენინგს ან საგანმანათლებლო მოთხოვნებს
- არ გაქვთ როლში წარმატების მისაღწევად საჭირო უნარები და პიროვნული თვისებები.

ჩემი კარიერის მოკლე სია

აირჩიეთ საუკეთესო 2-3 პროფესია, რომელთა შემდგომი გამოკვლევა გსურთ და დაწერეთ ისინი ქცემოთ.

1. ----------

---
2. ----------

---
3. ----------

ნაბიჯი #4: ჩაატარეთ საინფორმაციო ინტერვიუები

საინფორმაციო ინტერვიუები არის მშვიდი გზა კარიერული ინფორმაციის მოსაგროვებლად იმ ადამიანებისგან, რომლებიც უკვე მუშაობენ თქვენთვის საინტერესო სფეროებში. ადამიანების უმეტესობა სიამოვნებით საუბრობს თავის სამუშაოზე და შეუძლიათ გააზიარონ პირველადი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორია სამუშაო შიგნიდან.

დაუკავშირდით თქვენს ოჯახს, მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებსა და მასწავლებლებს პოტენციური ინტერვიუერების მოსაძებნად.

LinkedIn კიდევ ერთი კარგი ადგილია თქვენი ინტერესების სფეროში მომუშავე ადამიანების მოსაძებნად. პოტენციურ რესპონდენტებთან მიახლო-ებისას ცხადი იყავით, რომ თქვენ უბრალოდ იკვლევთ სამუშაო სფეროს და ეძებთ რჩევას - თქვენ არ ითხოვთ სამუშაოს ან არ ცდილობთ ფეხის გაღებას.

გაითვალისწინეთ, რომ მსგავსი შეხვედრებისთვის ან სატელეფონო საუბრისთვის ოცი წუთი საკმარისია, რადგან გავუფრთხილდეთ დროს, რომელსაც დაგვითმობენ ადამიანები.

კარგი იდეაა წინასწარ მოამზადოთ კითხვების სია, რაც დაგეხმარებათ გასაუბრების სწორად წარმართვაში. რამდენიმე იდეას იპოვით ქვემოთ.

საინფორმაციო ინტერვიუს კითხვარი

სამუშაოს აღწერა

- როგორია ჩვეულებრივი სამუშაო დღე სამსახურში, ყველა ნაკლებად საინტერესო ასპექტების გათვალისწინებით? რა არის თქვენი მთავარი სამუშაო პასუხისმგებლობები?

- რა მოგწონთ ყველაზე მეტად თქვენს სამსახურში? რა არ მოგწონთ?
- რა ხდის ადამიანს წარმატებულს თქვენს კომპანიაში?

კარიერული გზა

- როგორ დასაქმდით ამ პოზიციაზე? რა განათლება, უნარები და გამოცდილება არის საჭირო ამ სფეროში მოსახვედრად?
- რა ტიპის ტრენინგი ტარდება? როგორია ტიპიური კარიერული წინსვლა?

სამუშაო გარემო

- როგორ აღწერდით თქვენს სამუშაო გარემოს?
- რამდენად თავისუფალი ხართ თქვენი სამუშაოს შესრულებაში?
- როგორია ორგანიზაციული სტრუქტურა? ვის წარუდგენ ანგარიშს?
- რამდენ საათს მუშაობთ კვირაში? რამდენად მოქნილები არიან სამსახურში? სახლიდან მუშაობა გიწევთ?
- როგორი თანამშრომლები გყავს? როგორი ურთიერთობები გაქვთ მენეჯერებთან? დირექტორებთან?

სამუშაო ბაზარი

- როგორია სამუშაო ბაზარი ამ ტიპის სამსახურისთვის? სად არის მოსალოდნელი ზრდა ამ სფეროში და რამდენ წელში?
- რა გამოწვევის წინაშე დგას ეს ინდუსტრია? ელით თუ არა მნიშვნელოვან ცვლილებებს?
- ვინ ასაქმებს ახალ სამუშაო ძალას? არის თუ არა სამუშაო პოზიციები საჯაროდ განთავსებული დასაქმების პლატფორმებზე? სად შეგვიძლია ვნახოთ ინფორმაცია?

ზოგადი ინფორმაცია

- საუკეთესო რჩევა, რომელიც მიგიღიათ სანამ ამ სფეროში დასაქმდებოდით?
- არის რაიმე, რისი ცოდნაც ნეტა გქონოდათ, სანამ კარიერულ გადაწყვეტილებას მიიღებდით?
- დამატებით,ვისთან მირჩევდით გასაუბრებას?
- წინააღმდეგი,ხომ არ იქნებოდით კვლავ დაგიკავშირდეთ ჩემი კარიერის ძიებასთან დაკავშირებით?

შექმენით თქვენი დასაქმების ხიდები. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ინტერვიუ უფრო ჩვეულებრივია,

ვიდრე ფორმალური ინტერვიუ, მნიშვნელოვანია იყოთ თავაზიანი და კარგი შთაბეჭდილების მოახდინოთ. არასოდეს იცით, როდის შეიძლება გადაიკვეთოს თქვენი გზა ინტერვიუვერთან ასე რომ, დარწმუნდით, რომ გამოხატეთ მადლიერება ინტერვიუს შემდეგ მადლობის წერილის ან შენიშვნის გაგზავნით.

ნაბიჯი 5: გააკეთეთ თავისუფალი არჩევანი.

საინფორმაციო ინტერვიუს დასრულების შემდეგ, კარგი იდეაა, დაბრუნდეთ და დაწეროთ ის, რაც ისწავლეთ სამუშაოს შესახებ. დაუთმეთ ერთი წუთი დაფიქრდით შემდეგზე:

- რა დადებითი შთაბეჭდილებები გაქვთ სამუშაოს ამ სფეროზე?
- აღმოაჩინეთ რაიმე პრობლემა, რომელიც შფოთვის საფუძველს გაძლევს?
- გამოიყენებთ თუ არა ამ კარიერაში თქვენს უნარებსა და ნიჭს?
- რამდენად ადვილი შეიძლება იყოს ამ სფეროში დასაქმება?
- გეხმარებათ თუ არა თქვენს მიერ ჩატარებული კვლევა საკუთარი კარიერული მიზნების გარკვევაში?
- ახლა შეგიძლიათ აირჩიოთ კარიერა, რომელიც, თქვენი აზრით, მოგიტანთ ყველაზე მეტ კმაყოფილებას, თქვენს მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე?

არ ინერვიულოთ, თუ ჯერ კიდევ არ ხართ მზად გადაწყვეტილების მისაღებად. თუ თქვენ მიერ გამოკვლეული სამუშაო არ აკმაყოფილებს თქვენს მოლოდინს, მაშინ დაუბრუნდით ამ განყოფილების დასაწყისში და გაიმეორეთ სავარჯიშოები ვარიანტების ახალი მოკლე სიით. ბევრი ადამიანი სულ მცირე რამდენჯერმე ფიქრობს თავის ვარიანტებზე. იყავი მომთმენი… და დაჟინებული.

აღმოაჩინე როგორ

მას შემდეგ რაც გაარკვიეთ რა ტიპის სამუშაო და კარიერა ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პიროვნებასა და ნიჭს, დროა გაერკვეთ თუ როგორ მიაღწიოთ მას. ამ განყოფილებაში თქვენ შექმნით სამოქმედო გეგმას, რომელიც მიგიყვანთ იქ, სადაც ახლა ხართ, სამუშაოს დასაქმებას თქვენთვის სასურველ სფეროში.

„როგორ“-ს აღმოჩენას შეიძლება ჰქონდეს მრავალი განსხვავებული ნაბიჯი. მაგალითად, შეიძლება უკვე გქონდეთ განათლება და სერთიფიკატები, რომ მიაღწიოთ წარმატებას თქვენს საოცნებო სამუშაოში და თქვენი ამოცანაა აღმოაჩინოთ, რომელ კომპანიები ასაქმებენ. ან, შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი ტრენინგი, რათა უფრო გაყიდვადი გახდეთ დამსაქმებლის წინაშე. აქ არის რამდენიმე საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია, როდესაც დაიწყებთ სვლას სამუშაო ბაზრის შესწავლისკენ.

განსაზღვრეთ თქვენი მიზნები

კარიერული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განსაზღვრეთ თქვენი მოკლე და გრძელვადიანი მიზნები. მოკლევადიანი მიზნები არის ის, რისი მიღწევაც შეგიძლიათ სწრაფად, ექვს თვეზე ნაკლებ დროში. გრძელვადიანი მიზნები მოითხოვს ვალდებულებას, როგორც წესი, ერთიდან ხუთ წლამდე.

მოკლევადიანი მიზნების მაგალითები

- მიმართეთ პროფესიულ სასწავლებელს, უნივერსიტეტს, პროფ-ორიენტაციის ცენტრებს (იფიქრეთ რა სპეციალობების შესწავლა დაგჭირდებათ)
- მიმართეთ პროფესიების შესწავლას ან სხვა არაფორმალური განათლების კურსებს
- დაამყარეთ კონტაქტი პოტენციურ დამსაქმებლებთან
- იპოვეთ მენტორი, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი კარიერული მიზნების მისაღწევად
- დაუკავშირდით რეკრუტერებს
- დაესწარით ქსელურ ღონისძიებებს, რათა გაეცნოთ შესაძლებლობებს, რომელთა გამოყენებაც გსურთ
- მოამზადეთ შესანიშნავი რეზიუმე და სამოტივაციო წერილი
- დახვეწეთ თქვენი გასაუბრების უნარები
- შექმენით ონლაინ გვერდები (LinkedIn, Facebook, პირა-

და ბლოგი) თქვენი მისწრაფებების ასახვისთვის

- მიჰყევით Twitter-ის ანგარიშებს, რომლებიც შეესაბამება თქვენს არჩეულ კარიერას
- შექმენით თქვენი ქსელი ხარისხიანი კონტაქტებით

გრძელვადიანი მიზნების მაგალითები

- დაასრულეთ განათლებისა და ტრენინგის პროგრამა
- მიიღეთ სახელმწიფო ლიცენზია თქვენს მიერ არჩეულ პროფესიაში
- გადალახეთ ნებისმიერი გეოგრაფიული ან სხვა დაბრკოლება, რომელიც შეიძლება დადგეს თქვენსა და თქვენს საოცნებო სამუშაოს შორის
- მოხალისედ იმუშავეთ თქვენთვის საინტერესო სფეროში
- გაიარეთ სტაჟირება
- დაასრულეთ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, როგორიცაა სამუშაოს დაჩრდილვა, დროებითი განთავსება, გაჭიმვა
- დავალებები და სპეციალური პროექტები თქვენს ამჟამინდელ როლში
- ჩადეთ ინვესტიცია კარიერულ კონსულტაციაში ან ბიზნეს მენტორობაში

იფიქრეთ ფართოდ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი შემდეგი ნაბიჯი. ვინაიდან ყველა უნიკალურია, თქვენ მიერ შექმნილი ინდივიდუალური კარიერული რუკაც უნიკალური იქნება. იზრუნეთ, რომ გაითვალისწინოთ სხვადასხვა მარშრუტები თქვენს არჩეულ კარიერაში. თუ ზედმეტად დაფიქსირდით ერთ გზაზე, შეიძლება გამოგრჩეთ.

დაწერეთ თქვენი კარიერის სამოქმედო გეგმა, არ დააყოვნოთ და არ გადადოთ. იმის თქმა, რომ თქვენ დაადგინეთ თქვენი საოცნებო კარიერა, ადვილია. სიტყვების ქმედებად გადაქცევა და პოტენციურ დამსაქმებლებთან დასაკავშირებლად ნაბიჯების გადადგმა სულ სხვა საკითხია.

მაშ, საბოლოო ნაბიჯი არის თქვენი კარიერის სამოქმედო გეგმის დაწერა: გეგმა, რომელიც ასახავს ყველა იმ ნაბიჯს, რომელსაც გადადგამთ, რათა გადაიტანოთ A წერტილიდან (სადაც ახლა ხართ) B წერტილამდე (თქვენს იდეალურ კარიერაში მუშაობა). ყველაფერი, რაც აქამდე გაგიკეთებიათ, აქამდე მიგვიყვანდა.

გამოიყენეთ მარტივი ფორმა ჩვენ მიერ შემუშავებული კარიერის სამოქმედო გეგმა რათა ჩამოაყალიბოთ სტრატეგია თქვენი კარიერის მიზნების მისაღწევად. ყველა მიზნისთვის, რომელსაც წერთ, დარწმუნდით, რომ ეს არის SMART: სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროული. SMART მიზნები არის მკაფიო მიზნები, რომლებიც

ხაზს უსვამენ ზუსტად რას, როდის და როგორ გააკეთებთ. თითოეულ ამოცანას უნდა ჰქონდეს ხელშესახები შედეგი, რომლის მიღწევაც გსურთ და შეძლებთ, ისევე როგორც თქვენი კარიერული მიზნების შესაბამისი.

მაგალითი:

ფართო მიზანი: დასაქმება კოსმეტოლოგიაში.

SMART მიზანი: თებერვლის ბოლოს შევხედავ ჩემს რეგიონში არსებულ სამ განსხვავებულ კოსმეტოლოგიურ სკოლას. SMART მიზანი: 30 მარტამდე შევიტანე განაცხადი პროგრამაში ჩასაწერად.

გადახედე პროგრესს...და داჯილდოვე შენი თავი.

შრომითი სიტუაციები იცვლება, შრომითი ბაზარი ცვლილებას განიცდის და რეგულარული მიმოხილვის ჩატარება ღირებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენი მიზნები კვლავ აქტუალურია და ახლის დამატებას ან განვითარებას იძლევა. რამდენად ხშირად განიხილავთ დამოკიდებულია თქვენს კონკრეტულ სიტუაციაზე და რამდენად შორს ხართ მოგზაურობისას. იდეალურ შემთხვევაში, ყოველთვიურად მაინც გადახედეთ თქვენს პროგრესს. თუ პირველივე მცდელობისას მიზანს ვერ მიაღწევთ, გამოიყენეთ გამოცდილება სწავლის შესაძლებლობის და შესაბამისად გადახედეთ თქვენს გეგმას.

თქვენ მშვენივრად დაიწყეთ თქვენი საოცნებო სამუშაოს შექმნა.გააგრძელეთ საკუთარი თავის داჯილდოება პატარ-პატარა ნაბიჯების დასრულების შემდეგ. ყოველთვის შეგიძლია ცვლილება.

გისურვებთ სასიამოვნო აღმოჩენებს.
გაბედე ბედნიერ კარიერაზე ზრუნვა.
ისწავლე და დასაქმდი
ბათუმის სამედიცინო აკადემია

ბათუმის საერთაშორისო აკადემია

BATUMI MEDICAL ACADEMY

BMA

LSMPLS